№2543 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისათვის – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის მის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს მიეცეს თანხმობა, მის სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონება – დროებითი „სარმის“ ხიდი (ექვსნაწილიანი ხიდის ერთი კონსტრუქცია), უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, თხოვების ფორმით სარგებლობაში გადასცეს „Road Building ALTCOM“ LLC-ს, 1 (ერთი) წლის ვადით.

**პრემიერ-მინისტრი** **ირაკლი ღარიბაშვილი**